

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ოვბიურ-ბოჭაოვანი
ბელაქოგუნიაძის ქსელი
ფოკუსი

AG International Consulting
Member of EuraAudit International
Audit & Business Advisory Services

AGIC
certified member 
EuraAuditInternational

შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგება	11
კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება	12
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	13
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	14

შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოტონიკა
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოტონიკა-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 30 ოქტომბერი.

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშგება განიხილება დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნაში აღწერილ დამოუკიდებელ აუდიტორთა ვალდებულებებთან ერთად იმ მიზნით, რათა გაიმიჯნოს ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი-ს ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ისინი ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერები შესაბამისი სიზუსტით, რომელიც მისცემს მათ შესაძლებლობას დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს მიხედვით;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 30 ოქტომბერი.

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი-ს დამფუძნებლებს:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი-ს (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 10,863 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 11,596 ათას ლარს). აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ისტორიული ღირებულების დასადასტურებლად, შესაბამისად ჩვენ არ გვაქვს მტკიცებულებები საჭიროებდა თუ არა კომპანიის ძირითადი საშუალებები და მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლები კორექტირებას.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად არ დაგვნიშნეს 2018 წლის 31 დეკემბრამდე და, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 171 ათასი ლარი და 142 ათასი ლარის ღირებულებებით, შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ ხერხდება მარაგების თვითღირებულებაში ასახვის სიზუსტის დადასტურება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული თვითღირებულების იმ ხარჯების სისწორეში რომელიც დაკავშირებულია მარაგების ჩამოწერასთან, რაც სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული იყო 28 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლს შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2019 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი ანგარიშის “პირობითი მოსაზრების საფუძვლების” აზრად მიგვაჩნია საკითხებთან დამატებით, აუდიტის ძირითად საკითხებად ჩავთვალოთ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები დაგეგმილილი იყო მთლიანი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ ჩამოთვლილი არცერთი ძირითადი საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები

ჩვენ ჩავატარეთ შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი-ს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსს (ფასს)-ით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. წინა პერიოდების (ფასს)-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი განხორციელებული იყო შპს „ქართული აუდიტორული კომპანია“-ს მიერ. ჩვენ აუდიტის პროცესში დავადასტურეთ ანგარიშგების იმ მუხლების საწყისი ნაშთები რომლებიც გავლენას ახდენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსს (ფასს)-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად ჩვენ ვერ გამოვთქვავთ მოსაზრებას, რომ შპს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი-ს 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები იყო წარმოდგენილი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის დ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონიერულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების სფუპველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი
ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი
EuraAudit International-ის წევრი
2019 წლის 30 ოქტომბერი

თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - „კანონი“). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების სფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თამილა ჩაგელიშვილი.

ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგ

გ. კავთარაძე

გიორგი მიქაბაძე
დირექტორი

ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგ
EuraAudit International-ის წევრი
2019 წლის 30 ოქტომბერი



თამილა ჩაგელიშვილი
რეგისტრირებული აუდიტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,863	11,596
გრძელვადიანი მოთხოვნები		-	1
სულ გრძელვადიანი აქტივები	10,863	11,597	12,492
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	142	171
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	15,183	23,333
გადახდილი ავანსები		700	503
გაცემული სესხები	8	746	875
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	203	728
სულ მოკლევადიანი აქტივები	16,974	25,610	19,529
სულ აქტივები	27,837	37,207	32,021

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,863	11,596
გრძელვადიანი მოთხოვნები		-	1
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>10,863</u>	<u>11,597</u>	<u>12,492</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	142	173
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	15,183	23,333
გადახდილი ავანსები		700	503
გაცემული სესხები	8	746	875
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	203	728
სულ მოკლევადიანი აქტივები	<u>16,974</u>	<u>25,610</u>	<u>19,529</u>
სულ აქტივები	<u>27,837</u>	<u>37,207</u>	<u>32,021</u>

დირექტორი
 ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
 თამარ არდანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
 თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2	2	2
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		10,278	30,038	25,133
სულ კაპიტალი		10,280	30,040	25,135
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	10	-	6,073	6,134
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	6,073	6,134
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახდელი დივიდენდები		11,000	-	-
მოკლევადიანი პროცენტის სესხები და გადასახდელი ანგარიშები	10	6,215	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		126	145	372
მიღებული ავანსები		12	546	49
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	204	403	331
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		17,557	1,094	752
სულ ვალდებულებები		17,557	7,167	6,886
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		27,837	37,207	32,021

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2	2	2
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	10,278	30,038	25,133
სულ კაპიტალი	10,280	30,040	25,135
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი პროცენტის სესხები	10	6,073	6,134
და გადასახდელი ანგარიშები	-	6,073	6,134
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	6,073	6,134
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდები	11,000	-	-
მოკლევადიანი პროცენტის სესხები	10	-	-
და გადასახდელი ანგარიშები	126	145	372
საგადასახადო ვალდებულებები	12	546	49
მიღებული ავანსები	204	403	331
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,094	752
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17,557	1,094	752
სულ ვალდებულებები	17,557	7,167	6,886
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	27,837	37,207	32,021

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	9,091	12,689
თვითღირებულების ხარჯები	13	(5,183)	(6,005)
საერთო მოგება		3,908	6,684
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(22)	(77)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,195)	(1,474)
საოპერაციო მოგება		2,697	5,133
ფინანსური ხარჯები		(527)	(503)
ფინანსური შემოსავალი		9	142
წმიდნა საკუროსო მოგება/(ზარალი)		30	167
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		31	14
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(48)
მოგება დაბეგვრამდე		2,240	4,905
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		2,240	4,905

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	9,091	12,689
თვითღირებულების ხარჯები	13	(5,183)	(6,005)
საერთო მოგება		3,908	6,684
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(22)	(77)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,195)	(1,474)
საოპერაციო მოგება		2,697	5,133
ფინანსური ხარჯები		(527)	(503)
ფინანსური შემოსავალი		9	142
წმიდნა საკურსო მოგება/(ზარალი)		30	167
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		31	14
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(48)
მოგება დაბეგრამდე		2,240	4,905
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმიდნა მოგება		2,240	4,905

დირექტორი
ილია ინჯია

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
თამარ არღანაშვილი

30 ოქტომბერი, 2019
თბილისი, საქართველო

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	25,133	2	25,135
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	4,905	-	4,905
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	4,905	-	4,905
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,038	2	30,040
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)	2,240	-	2,240
პერიოდის სრული შემოსავალი (ზარალი)	2,240	-	2,240
დივიდენდების გამოცხადება	(22,000)	-	(22,000)
ოპერაციები	(22,000)	-	(22,000)
აქციონერებთან/დამფუძნებლებთან)			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,278	2	10,280

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	2,240	4,905
<i>არაფულადი კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	944	1,019
საპროცენტო ხარჯი	527	503
ძირითადი საშუალების ჩამოწერიდან მიღებული ზარალი	9	50
მოგება/ზარალი კურსთაშორისი სხვაობებიდან	(30)	(167)
საპროცენტო შემოსავალი	(9)	(142)
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	3,681	6,168
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,838)	(5,421)
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(534)	497
ცვლილებები მარაგებში	29	2
ცვლილება გადახდილ ავანსებში	(197)	(470)
ცვლილებები სხვა გრძელვადიან მოთხოვნებში	1	-
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(19)	(227)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(185)	81
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(62)	630
გადახდილი პროცენტი	(384)	(419)
მიღებული პროცენტი	17	133
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(429)	344
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(220)	(174)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(220)	(174)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოძინება გაცემული სესხიდან	120	455
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	120	455
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(529)	625
უცხოური ვალუტის ეფექტიფულზე	4	46
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	728	57
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	203	728

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ დაფუძნდა 1996 წლის 05 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204892330, მარეგისტრირებული ორგანო არის ვაკის რაიონის სასამართლო, კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42. კომპანიის დამფუძნებლები არიან: შპს სისტემ ნეტი (საიდენტიფიკაციო კოდი: 205267423) - წილი 50%, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 25.3%, ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 14.3%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - წილი 5%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 3.4%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 1.4% და ვახტანგ ამაშუკელი (პ/ნ 01012008906) - წილი 0.6%.

შპს „სისტემ ნეტი“-ის დამფუძნებლები არიან: ავთანდილ იაშვილი (პ/ნ 01002004622) - წილი 29.349%, ილია ინჯია (პ/ნ 01007000232) - წილი 21.565, ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616) - წილი 15.318%, ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190) - წილი 7.781%, ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738) - წილი 5.714%, თეიმურაზ ბერიშვილი (პ/ნ 01026001596) - წილი 4.183%, ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598) - წილი 4.149%, კონსტანტინე ხაჯალია (პ/ნ 01009002835) - წილი 3.128%, თეიმურაზ ცხვარიაშვილი (პ/ნ 01026003544) - წილი 2.028%, ლილი სუხიტაშვილი (პ/ნ 01017003643) - წილი 2.091%, კოტე სამუშია (პ/ნ 01017003792) - წილი 1.699%, ჯამბული გეგეჭკორი (პ/ნ 01017000485) - წილი 1.171%, ნოდარ გაბედავა (პ/ნ 62001023917) - წილი 1.038%, დავით დურგლიშვილი (პ/ნ 01001046602) - წილი 0.648%, ქეთევან ასიტაშვილი (პ/ნ 01035000176) - წილი 0.064%, სერგო ჩიკვილაძე (პ/ნ 01017008377) - წილი 0.042%, თამარ ჩხეიძე (პ/ნ 01017035001) - 0.016% და ოლეგი გვენცაძე (პ/ნ 01018005053) - წილი 0.016%.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

შესაბამისობის განცხადება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ს შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ეფუძნება 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მომზადების საფუძველი

ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულება არის ის ფასი, რასაც მიიღებდა აქტივის მფლობელი აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების მფლობელი ვალდებულების დასაფარად, ჩვეულებრივი ტრანზაქციისას საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის დროს,

მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადი ან შეფასებული სხვა შეფასების მეთოდით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეებიც მიიღებდნენ ამ მახასიათებლებს მხედველობაში აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას შეფასების თარიღისთვის. ამ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გამჭვდევების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სწორედ ამ საფუძველზე.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, სამართლიანი ღირებულება შეიძლება გაიზომოს და კლასიფიცირდება 1, 2, 3 დონეების მიხედვით და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი ღირებულების დასადგენად მნიშვნელოვანი და ბაზარზე ხელმისაწვდომია ის მონაცემები, რომლების მეშვეობითაც დგინდება სამართლიანი ღირებულება. ეს დონეები ახსნილია ქვემოთ:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ჩამოთვლილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის პირველადი გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ("ფასს") მცირე და საშუალო საწარმოების შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა

დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

საკუთრებაში არსებული აქტივები

ძირითადი საშუალებების ერთეულები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა.

როდესაც ძირითადი საშუალების ერთეულები მოიცავენ ძირითად კომპონენტებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადით, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულად.

ცვეთა

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმები განსხვავებულია ძირითადი საშუალებების ჯგუფების მიხედვით, კერძოდ:

- შენობა-ნაგებობების ცვეთის ნორმა შეადგენს 5%
- საკანალიზაციო არხები და ჭები 8%
- კავშირგაბმულობის მოწყობილობების და მაგისტრალების 8%
- ავტომობილები, საოფისე ავეჯი და ინვენტარი 20%
- კომპიუტერული ტექნიკა და მსგავსი აქტივები 20%

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აღიარება და ასახვა ხორციელდება ნეტო. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი სარეალიზაციო ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალშიკლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებსა ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. კომპანიას არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის

ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისგან.

გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები წარმოადგენს არა-დერივატულ აქტივებს, ფიქსირებული, ან განსაზღვრული ფასებით, რომელიც არ არის კოტირებული მზარდი მოთხოვნილების ბაზარზე, გარდა სხვა ფინანსური აქტივების კატეგორიებში კლასიფიცირებული აქტივებისა. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები ბალანსში წარდგენილია სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, წმინდა ღირებულებით.

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის. შენატანები და შედავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ორგანიზაცია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც ორგანიზაცია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სესხი პირდაპირ ჩამოიწეროს ხარჯებში როგორც უიმედო, სარეზერვო ანგარიშის გავლის გარეშე. ეს ის შემთხვევაა, როცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი, რომელიც ამ მომენტამდე ჯერ არ ყოფილა საექვო ვალების რეზერვში შეტანილი, უფასურდება ისე, როდესაც ნათელია, რომ მისი ამოღება უიმედოა.

ადრე აღიარებული უიმედო ვალების ამოღება აღიარდება როგორც საექვო ვალების შემცირება. ხარჯებში ჩამოწერილი უიმედო ვალების ამოღება აღიარდება მოგება-ზარალში როგორც უიმედო ვალების ამოღება.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიცირებულ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსი ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ბალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბას 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივითვის, ხელმძღვანელობა იყენებს განსაზღვრებებს იმის დადგენაში განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეებთან არსებული ნაშთების პირობების და გარემოებები განმარტებულია მე-16-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივითვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივებიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. კომპანია თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. კომპანია ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს კომპანიაში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დარყდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 259,692 ლარის (2017 წ.: 262,692 ლარი) ოდენობის უიმედო თანხების რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს დებიტორული დავალიანების გაუფასურებით გამოწვეულ შესაძლო დანაკარგებს (მე-7-ე შენიშვნა).

5 ძირითადი საშუალებები

ფიქსირებული აქტივები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოპტიკური მაგისტრალები	კაპიტალიზებადი მასალები	სულ
საწყისი ღირებულება								
ბალანსი 31.12.2016	148	409	144	71	817	40,991	36	42,616
დანამატები	-	-	-	-	-	174	-	174
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	(155)	-	(2)	(157)
ბალანსი 31.12.2017	148	409	144	71	662	41,165	34	42,633
დანამატები	-	-	-	-	24	196	-	220
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	(6)	(3)	(9)
ბალანსი 31.12.2018	148	409	144	71	686	41,355	31	42,844
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 31.12.2016	(78)	(235)	(135)	(65)	(441)	(29,171)	-	(30,125)
ცვეთა პერიოდისათვის	(4)	(34)	(2)	(1)	(66)	(912)	-	(1,019)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	107	-	-	107
ბალანსი 31.12.2017	(82)	(269)	(137)	(66)	(400)	(30,083)	-	(31,037)
ცვეთა პერიოდისათვის	(3)	(27)	(1)	(1)	(56)	(856)	-	(944)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2018	(85)	(296)	(138)	(67)	(456)	(30,939)	-	(31,981)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 31.12.2016	70	174	9	6	376	11,820	36	12,491
ბალანსი 31.12.2017	66	140	7	5	262	11,082	34	11,596
ბალანსი 31.12.2018	63	113	6	4	230	10,416	31	10,863

6 მარაგები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ოპტიკური კაბელი	129	155
საწვავი	11	13
ოპტიკური ქურო	2	3
სულ მარაგები	142	171

7 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
მისაღები ვალდებულება ძირითადი საკმეოებიდან	15,429	23,566
საექვო მოთხოვნები	(260)	(263)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	14	30
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,183	23,333

8 გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხები (შპს ახალი ქსელები)	746	867
მისაღები პროცენტები	-	8
სულ გაცემული სესხები	746	875

გაცემული სესხები შედგება მხოლოდ ერთი სასესხო ხელშეკრულებისგან, რომლის ჯამური თანხაც შეადგენს 1,929,000 ლარს, წლიური 14%-ში, ვადა - 3 წელი, სესხის მიმღები არის შპს "ახალი ქსელები" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 211326732)

9 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი საბანკო ანგარიშებზე	7	7
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	196	720
ევრო საბანკო ანგარიშებზე	1	1
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	203	728
ნაღდი ფული სალაროში	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	203	728

10 სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხები შედგება მხოლოდ ერთი სასესხო ხელშეკრულებისგან, რომელიც გაფორმებულია კომპანია „დან ტელკოსთან“ და წარმოადგენს საქართველო-რუსეთის მაგისტრალის მშენებლობაზე დახარჯული თანხების ფოტონეტის კუთვნილ წილს.

სესხის ძირითადი თანხა შეადგენს 3,122,085 აშშ დოლარი. სესხი რეგულირდება 2001 წლის 09 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით (Master Agreement). აღნიშნული ხელშეკრულებით სესხის დაფარვა ხდება საზღვაო სისტემაში ფოტონეტის კუთვნილი შემოსავლების წილიდან (13,28% ფოტონეტის წილი საზღვაო სისტემაში). 2018 წლის განმავლობაში ფოტონეტს უკავდებოდა კუთვნილი შემოსავლის 80%. სესხის ფარგლებში ქონება არ არის დაგირავებული.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
გადასახდელი ხელფასები	104	116
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	100	286
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	-	1
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	204	403

12 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	4,674	7,557
შემოსავალი ტელეკომუნიკაციების მომსახურებიდან	4,417	5,132
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	9,091	12,689

13 თვითღირებულების ხარჯები

	2018 წელი	2017 წელი
ინტერნეტის ხარჯები	2,547	3,217
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	962	1,101
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	942	1,015
ტექნიკური მომსახურება	224	184
საწვავის ხარჯი	141	138
იჯარის დანახარჯები	88	48
რემონტის ხარჯები სადგურებზე	69	77
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეგულირების საფასურის ხარჯები	68	95
მანქანის ხარჯები	32	38
გაყიდული საქონლის შესყიდვის ხარჯები	28	-
კომუნალური ხარჯები	24	25
მაგისტრალის რემონტის ხარჯები	21	10
სამიწვინებო ხარჯები	17	23
სხვა ხარჯები	16	29
საწევრო ხარჯები	4	5
სულ თვითღირებულების ხარჯები	5,183	6,005

14 ადმინისტრაციული ხარჯები

	2018 წ.	2017 წ.
თანამშრომელთა ხელფასი	886	880
იჯარის ხარჯები	211	205
საგადასახადო ხარჯები	31	43
კვების ხარჯები	14	30
კომუნიკაციის ხარჯები	14	20
აუდიტის მომსახურების ხარჯი	10	17
საკანცელარიო ხარჯები	6	6
საბანკო ხარჯები	3	3
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	2	3
წარმომადგენლობითი ხარჯები	1	1
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	10	-
დაცვის ხარჯები	6	3
დებიტორული დავალიანების რეზერვი	-	263
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1	-
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	1,195	1,474

შენიშვნა 15 - პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. აგრეთვე, კომპანიას გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები მოთხოვნებზე, რომელიც მოცემულია ქვემოთ:

აუდიტის დასკვნის გამოცემის თარიღისათვის კომპანიას გააჩნდა შემდეგი სასამართლო დავა, სადაც მოსარჩელე არის სს „სილქნეტი“, ხოლო მოპასუხე არის შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“.

დავის მიმდინარეობა თბილისის სააპელაციო სასამართლოში:

2017 წლის 25 აპრილს სააპელი საზოგადოება „სილქნეტი“-მ(ა) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს წინააღმდეგ და მოითხოვა 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში წარმოშობილი მომსახურების - ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების - ღირებულების დავალიანების 52,344 ლარის ანაზრაულება. სარჩელზე მოპასუხის წინააღმდეგ უზრუნველყოფის ღონისძიება (ყადაღა, აკრძალვა, სეზღუდვა) არ გამოყენებულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სს „სილქნეტის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მან გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში. სააპელაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში და პირველი სასამართლო სხდომა დანიშნულია 2019 წლის 4 ნოემბერს.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საქმის შედეგის პროგნოზირება რთულია დავის სპეციფიკიდან, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანიამ იღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. 2016 და 2017 წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

შენიშვნა 16 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან

(ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2018	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები	გადასახდელი დივიდენდები
შპს ივერია ქსელი	-	2	-	-
შპს ახტელი	-	7	-	-
შპს ბოლნისის ახალი ქსელები	-	1	-	-
შპს ახალი ქსელები	2,725	-	746	-
შპს სისტემ ნეტ	12,582	-	-	-
ინჯია ილია	-	1	-	-
სამუშაო კოტე	3	77	-	1,100
ინჯია ფრიდონი	6	-	-	5,566
ავთანდილ იაშვილი	-	-	-	3,146
ლილი სუხიტაშვილი	-	-	-	748
ნაირა კვესელავა	-	-	-	308
ვახტანგი ამაშუკელი	-	-	-	132
გეგეჭკორი ჯამბული	3	-	-	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	15,319	88	746	11,000

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2017	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	გაცემული სესხები
შპს ივერია ქსელი	-	2	-
შპს ახტელი	-	8	-
შპს ბოლნისის ახალი ქსელები	-	1	-
შპს ახალი ქსელები	2,059	-	875
შპს სისტემ ნეტ	20,903	-	-
ინჯია ილია	-	1	-
სამუშაო კოტე	5	-	-
ინჯია ფრიდონი	6	-	-
გეგეჭკორი ჯამბული	17	-	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	22,990	12	875

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2018	შესყიდვები	რეალიზაცია	დარიცხული პროცენტი
შპს ახტელი	7	1	-
შპს ახალი ქსელები	17	588	9
შპს სისტემ ნეტ	231	4,674	-
სამუშაო კოტე	77	-	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	332	5,263	9

ოპერაციები მხარეებთან 31-დეკ-2017	შესყიდვები	რეალიზაცია	დარიცხული პროცენტი
შპს ივერია ქსელი	1	-	-
შპს ახტელი	7	-	-
შპს ბოლნისის ახალი ქსელები	-	2	-
შპს ახალი ქსელები	42	745	142
შპს სისტემ ნეტ	483	7,557	-
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	533	8,304	142

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	2018 წ.	2017 წ.
დირექტორი (ილია ინჯია)	162	162
დამფუძნებელი (ფრიდონ ინჯია) - 25.3% წილის მფლობელი	148	149
დამფუძნებელი (ავთანდილ იაშვილი) - 14.3% წილის მფლობელი	142	142
დამფუძნებელი (კოტე სამუშია) - 5% წილის მფლობელი	152	132
საბოლოო მშობელი საწარმოს დამფუძნებელი (ჯამბული გეგეჭკორი) - 1.171% წილის მფლობელი	6	5
საბოლოო მშობელი საწარმოს დამფუძნებელი (ქეთევან ასიტაშვილი) - 0.064% წილის მფლობელი	2	1
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	612	591

შენიშვნა 17 - კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

შენიშვნა 18 - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიას არ გააჩნდა ბალანსის შემდგომი მოვლენები.

შენიშვნა 19 - ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 30 ოქტომბერს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ მმართველობის ანგარიშგება

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს არის პირველი ნაციონალური და საერთაშორისო ოპტიკურ – ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორი საქართველოში, ასევე კომპანია წარმოადგენს ინტერნეტის ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორს საქართველოში.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირდა 1996 წლის 5 დეკემბერს, ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს №5/4-1029; 05/12/1996 გადაწყვეტილებით.

კომპანიის დამფუძნებელი-პარტნიორები არიან როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირები: ვახტანგი ამაშუკელი 0.6%, კოტე სამუშია 5%, ავთანდილ იაშვილი 14.3%, ფრიდონ ინჯია 25.3%, ლილი სუხიტაშვილი 3.4%, ნაირა კვესელავა 1.4% , შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ 50%.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს საქმიანობას დადგენილი წესით კონტროლს უწევს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს ყადაღა, აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ან სხვა სახის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა არ უფიქსირდება.

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს პარტნიორთა კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს იურიდიული

მისამართია ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 42. იგივე მისამართზეა განლაგებული სათავო ოფისიც .

საქართველოს და კავკასიის რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კომპანია „ფოპტნეტი“ მოღვაწეობს 1996 წლიდან. 1997 – 1999 წლებში კომპანიამ განახორციელა ორი ფართომასშტაბიანი სატელეკომუნიკაციო პროექტი: პირველი, „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალი, რომელიც მოიცავს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს და მეორე, ერთობლივად დანიურ „გრეიტ ნორზერნ ტელეგრაფ კომპანი – ჯი ენ“ – თან და რუსულ „ვესტელკომ“ – თან, „საქართველო – რუსეთი“ , წყალქვეშა ოპტიკურ – ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა შავ ზღვაში, რომელიც, სოჭის გავლით, აკავშირებს სისტემას „საქართველოს ოპტიკური მაგისტრალი“ ნოვოროსისკის მსხვილ სატელეკომუნიკაციო კვანძთან. ამრიგად, ფოპტნეტი გახდა პირველი ნაციონალური და საერთაშორისო ოპტიკურ – ბოჭკოვანი ქსელის ოპერატორი საქართველოში. მრავალწლიანი წარმატებული საექსპლუატაციო გამოცდილების შედეგად, კომპანიამ დაიმკვიდრა წამყვანი პოზიცია ქვეყნის და რეგიონის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე. 2005 წლიდან, „ფოპტნეტი“, მსხვილ სატელეკომუნიკაციო კომპანიებთან „სისტემ ნეტი“ და „ახალი ქსელები“ ერთად, შედის ტელეკომუნიკაციების და ტექნოლოგიების ჯგუფში

კომპანია ახორციელებს მომსახურებას საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო არხებით, ოპტიკურ – ბოჭკოვან კაბელებზე აგებული ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით გაწყობილი ქსელის გამოყენებით. საქალაქთაშორისო არხებით მომსახურების მიწოდება ხორციელდება თბილისიდან ბოლნისის, გორის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, ბათუმის მიმართულებით. კომპანია ახორციელებს საერთაშორისო არხებით მომსახურებას თბილისიდან რუსეთის, დსთ-ს, ევროპის და აზიის ქვეყნების მიმართულებით, გამოყენებულია პირდაპირი კავშირები მეზობელი ქვეყნების ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების ოპერატორებთან, მათ შორის აზერბაიჯანის ორ და სომხეთის სამ ოპერატორთან. კომპანიის ქსელში შესაძლებელია 2მბიტ/წმ-დან დაწყებული ნებისმიერი სიჩქარის და ნებისმიერი ტიპის სიგნალის გადაცემა. კომპანია ახორციელებს ქსელის

სადღელამისო მომსახურებას მაქსიმალური საიმედოობის და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიას გააჩნია ტექნიკური სადგურები საქართველოს ოპტიკური მაგისტრალის გასწვრივ, რომლებიც არ წარმოადგენენ კომპანიის ფილიალებს, შენობები რომლებშიც განთავსებულია სადგურები ძირითადად წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას (ბოლნისი, დმანისი, გორი, ზესტაფონი, სამტრედია).

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი მომსახურება;
- კომპანიის მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- კომპანიის სტაბილური განვითარების პოტენციალის უზრუნველყოფა;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- კომპანიის პარტნიორების ინტერესების დაცვა.

2018 წელს დარგის განვითარების საერთო ტენდენციებს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“ აფასებს, როგორც ზომიერად ოპტიმისტურს, რაც დაკავშირებულია საანგარიშო წელში მომხდარ შემდეგ მოვლენებთან, რომლებმაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა დარგზე:

- ქვეყანაში ინტერნეტზე და სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდა;
- ინფლაციური პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებასთან უცხოური ვალუტის მიმართ;

ძირითადი სავარაუდო ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც შეიძლება უახლოეს წლებში უარყოფითად აისახოს კომპანიის განვითარების ტემპებზე, შემდეგია:

- დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ხშირი ცვლილებები;
- ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა სარეზერვო ვალუტების მიმართ;
- ინფლაციის მაღალი ტემპი.
- 2017 წელს მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების შერწყმის შედეგად (როგორიცაა შპს „მაგთიკომი“ და შპს „სილქნეტი“) ოლიგოპოლიის ჩამოყალიბების

რისკი.

კომპანიის ძირითადი ამოცანაა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-მა მიიღო შემდეგი ზომები:

- სატელეკომუნიკაციო ბაზარზე სიტუაციის ანალიზი და პროგნოზირება;
- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ბიზნეს-პროცესების, ამოცანებისა და მიზნების სრულყოფა, რომლებიც აკმაყოფილებს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- საინფორმაციო გახსნილობა, საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის სისტემის გამჭვირვალობა;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამების დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსის რეალიზაცია საშუალებას მისცემს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს შეინარჩუნოს არსებული ფინანსური მდგომარეობა და ხელს შეუწყობს ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ძირითადი შესაძლებელი ფაქტორები, რომლებიც უახლოეს მომავალში შეიძლება აისახოს კომპანიის განვითარების ტემპებზე შემდეგია:

- ცვლილებები დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში
- ინფლაციის მაღალი ტემპი.

საზოგადოების 2018 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

		2018 წ.	2017 წ.
შენიშვნა			
შემოსავალი	12	9,091	12,689
რეალიზაციიდან			
თვითღირებულების	13	(5,183)	(6,005)
ხარჯები			
საერთო მოგება		3,908	6,684
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6	-
სხვა საოპერაციო ხარჯები		(22)	(77)
ადმინისტრაციული	14	(1,195)	(1,474)
ხარჯები			
საოპერაციო მოგება		2,697	5,133
ფინანსური ხარჯები		(527)	(503)
ფინანსური შემოსავალი		9	142
წმიდნა საკუროსო		30	167
მოგება/(ზარალი)			
სხვა არასაოპერაციო		31	14
შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		-	(48)
მოგება დაბეგვრამდე		2,240	4,905
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-
წმინდა მოგება		2,240	4,905

კომპანიის საქმიანობის ერთერთი ძირითადი სახეობაა ინტერნეტის შესყიდვა და განაწილება. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს პარტნიორი ამ საქმიანობაში არის შპს „სისტემ ნეტ“. კომპანიის საოპერაციო საქმიანობის შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. 2018 წელს ინტერნეტის რეალიზაციამ შეადგინა 5 515 ათასი ლარი, რაც 3 403 ათასი ლარით ნაკლებია 2017 წელთან შედარებით. რეალიზაცია 2017 წელს შემცირდა ისეთი ძირითადი ფაქტორების შედეგად, როგორიცაა ბაზარზე ინტერნეტის ფასების მკვეთრი კლება. თუმცა, ამავდროულად, შემცირდა ინტერნეტის შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებიც. 2018 წელს მითითებული ხარჯი შეადგენდა 2542 ათ.ლარს, 670 ათ.ლარით ნაკლებს ვიდრე 2017 წელს. ინტერნეტის შესყიდვისა და

განაწილების გარდა, საზოგადოება უზრუნველყოფს სატელეკომუნიკაციო სატრანზიტო მომსახურებას. ტრანზიტის შედეგად მიღებული ამონაგები წარმოადგენს შემოსავლებს, რომელსაც კომპანია იღებს ნებისმიერი სიჩქარის და ტიპის სიგნალის ტრანზიტისთვის.

კომპანიის განვითარების შედეგები პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით შეიძლება შეფასდეს წარმატებულად. შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-მა წელიწადი დაასრულა 2 240 ათასი ლარის წმინდა მოგებით.

2018 წელს შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტი“-ს ქსელის ოპერირებისას სულ მოხდა 3 ტექნოლოგიური ინციდენტი (კაბელის დაზიანება), რაც 4-ით ნაკლებია 2017 წელთან შედარებით. კაბელის დაზიანების რაოდენობის შემცირება დაკავშირებულია არსებული ტექნიკური ზედამხედველობის და გაფრთხილებების პროცედურების განახლებასთან, უფრო ეფექტური პროცედურების და მოქნილი ზედამხედველობის სისტემის დანერგვასთან. სახმელეთო მაგისტრალზე 2018 წლის განმავლობაში 11-ჯერ ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები, რაც დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურის ინტენსიურ ზრდასთან.

2018 წლის განმავლობაში საზოგადოების შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით განხორციელდა საორგანიზაციო-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რაც მიზნად ისახავდა ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების თავიდან აცილებას, მოწყობილობების და პერსონალის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდას, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებას.

კომპანიის განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- კომპანიის შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- ქსელის დაზიანებების მინიმიზაცია;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;

კომპანია ახორციელებს საინვესტიციო პოლიტიკას ეკონომიკური ეფექტურობის და მიზანშეწონილობის პრინციპების საფუძველზე. კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის ძირითადი პერსპექტიული მიმართულებებია: ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა,

დაზიანებების შემცირება, ქსელის საიმედოობის და უსაფრთხოების ამაღლება და გაფართოება.

2018 წელს საზოგადოებამ განახორციელა საინვესტიციო დაბანდებები (ათვისებასთან დაკავშირებით) თანხით 304 ათასი ლარი. 2018 წელს პროექტების და სამუშაოების დაფინანსების წყარო იყო კომპანიის საკუთარი სახსრები.

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს: არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში; სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში; უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე; შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად; წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.

3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

შპს „ფოპტნეტი“ შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელობის, მენეჯმენტის და სხვა თანამშრომლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის, ორგანიზაციული ღონისძიებების, პროცედურებისა და მოქმედებების ერთიანობას, რომელთაც უნდა უზრუნველყონ კომპანიის მიზნების მიღწევის გონივრული რწმენა და მისაღებ დონემდე რისკების შემცირება. კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა შექმნილია კომპანიის, მისი ცალკეული სამსახურების, კომპანიის მართვის ორგანოების თანამდებობის პირების და კომპანიის აღმასრულებელი აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის რეგულარული კონტროლის განხორციელების მიზნით საქართველოს კანონმდებლობასთან, კომპანიის წესდებებსა და შიდა დოკუმენტებთან შესაბამისობაზე. შიდა კონტროლის სფეროში შპს „ფოპტნეტი“ ხელმძღვანელობს შემდეგი მიდგომებით:

მიდგომა 1. კორპორაციული მართვის და შიდა კონტროლის ორგანიზების და ეფექტურობის შეფასებისას შიდა კონტროლის სფეროში საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობა.

მიდგომა 2. კომპანიის ეფექტური კონტროლის გარემოს შექმნა იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების საშუალებით, რომელთაც ახორციელებს ხელმძღვანელობა მართვის ყველა დონეზე.

მიდგომა 3. შიდა კონტროლის ყველა სუბიექტს შორის ინფორმაციის გაცვლის საიმედო და ეფექტური სისტემის ფუნქციონირება, მათ მიერ შიდა კონტროლის ფუნქციებისა და პროცედურების სათანადოდ შესრულების მიზნით. მიდგომა

4. შიდა კონტროლის პროცესების ეფექტურობის მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ადამიანური კაპიტალის განვითარების სფეროში კომპანიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები საანგარიშო პერიოდში იყო მართვის სისტემის

ეფექტურობის გაზრდა, მათ შორის, კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლურობის გაზრდა, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

შპს „ფოპტნეტის“ საკადრო პოლიტიკა საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და კომპანიის წინაშე დასმული ამოცანების გადაჭრას და ხორციელდება ისეთი შემადგენელების მეშვეობით, როგორიცაა:

- ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;

კომპანიის მუშაკების სტრუქტურა შედგება : 2 ხელმძღვანელი პირისგან, 9 სამსახურის უფროსისგან, 12 მოსამსახურე პერსონალისგან, 33 ტექნიკური სპეციალისტისგან და 44 ზედამხედველისგან.

კომპანიაში დასაქმებულია 100 თანამშრომელი. აღსანიშნავია რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს გაითვალისწინოს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები გენდერული ბალანსის დაცვაზე, სწორედ ამიტომ შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფოპტნეტში“ დასაქმებული ქალები იკავებენ არა მარტო ტრადიციულ პოზიციებს (ფინანსური, ოფის მენეჯერი, თანამშემწე, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი) არამედ წამყვან ტექნიკურ პოზიციებსაც.

შპს „ფოპტნეტის“ საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია კომპანიის მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების დაგეგმვა და განხორციელება, რაც მოიცავს პერსონალის მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, აგრეთვე, მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკის მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე კომპანიისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით, უნარ-ჩვევების განვითარებაზე კონკრეტული სამუშაო სიტუაციების გადასაჭრელად.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „ფოპტნეტი“ არ მიეკუთვნება იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. ამ მიზეზით, 2018 წლის განმავლობაში არ ყოფილა დაგეგმილი და,

შესაბამისად, არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.

კომპანია ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2018 წელს გარიგებები, რომელთა ღირებულება აღემატებოდა კომპანიის აქტივების ღირებულების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს, შპს „ფოპტნეტს“ არ დაუდია.

დირექტორი

30/10/2019

არ განხორციელებულა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებები.
კომპანია ახორციელებს საკუთარი ვალდებულებების პერიოდულ გადაფასებას გარემოს
დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2018 წელს გარიგებები, რომელთა ღირებულება აღემატებოდა კომპანიის აქტივების
ღირებულების 50 (ორმოცდაათი) პროცენტს, შპს „ფოპტნეტს“ არ დაუდია.

დირექტორი

30/10/2019

